



№ 236 (4230)

1970 წ.

დაკავშირებული, ოთხსაბათი, შანი & კაპ.

სამ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

პ. ქორქია ნაქრების კანდიდატი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელებმა უკვე 17 მატჩი გამართეს. განვლილია გრძელი და საინტერესო გზის დასაბლოებით ერთი მერვედი. ჩემპიონატის მონაწილე თერთმეტმა გუნდმა უკვე იგემა გამარჯვების სიტკბო. ეს გრძელმა ჩემპიონატით უცხოა მისთვის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებისთვის, რომლებიც უკვე მრავალი მატჩით ხატურნირო ცხრილის ბოლო სტრიქონს ავსებენ მხოლოდ.

ყველაზე მეტი გამარჯვება კივის „სტროიტელსა“ და შარშანდელ ჩემპიონს ცსკა-ს (მ-მ) აქვთ, მაგრამ უკრაინელთა მდგომარეობა შესაძინებლად უკეთესია, ვინაიდან მათ დაამარცხეს მთავარი მეტოქეები — მოსკოვის არმიელები. ისტორია, რაღაც განსაკუთრებული სიზუსტით შეორდება. ცსკა-ს შარშანდელ 4 წრის შემდეგ 8 ქულა მქონდა და ის ერთადერთი მატჩი მოსკოველებმა კივის სწორედ „სტროიტელთან“ წაგეს.

ფრიდან 2 მატჩი მოიგო კაუნასის „უალკისმა“, მაგრამ მას, მოქალაქეების უნებურად ვთქვათ, ერთი გამოტოვებული შეხვედრა აქვს თბილისის „დინამოსთან“. ეს მატჩი, ისევე როგორც შარშანდელ ტურში იყო დაგეგმილი, მაგრამ თბილისელები უამინდობის გამო ვერაფრით ვერ ჩაფრინდნენ კაუნასში და ცხადია, შეხვედრაც გადაიდო. ვინ იცის, იქნებ ეს გაუთვალისწინებელი ტაიმ-აუტი „დინამოსთვის“ უკეთესიც გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, შარშანდელი მატჩი „უალკისმა“ შინ მოიგო.

წინა ჩემპიონატის გრძელმა ნავ ჩამორჩება ლენინგრადის „სპარტაკი“. მან მან პირველი ქულა მხოლოდ მე-6 ტურში დაკარგა, მანამდე კი დამაჯერებლად ლიდერობდა სატურნირო ცხრილს. ახლა ვერცხლის პრიზორმა პირველივე შეხვედრა დათმო (ტარტუს „კალევითან“).

საკავშირო ჩემპიონატის პირველი მატჩების შედეგებზე თავისი აზრი გამოთქვა სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ს. ბაშკინმა: „წამყვანი გუნდები, არაფერი რომ არ ვთქვათ დანარჩენ კლუბებზე, ჭერ კიდევ შორს არიან ნამდვილი ფორმისგან. სასტარტო კალათბურთი უფრო გამოდგაროვრც ტაქტიკურად ისე ტექნიკურად...“

თუ რატომ აწუხებს ს. ბაშკინს ერთაშად ყველა გუნდის ბედი, მხელი გასაგები როდია. მან, თავის უფროს კოლეგასთან ვ. კონდრაშინთან ერთად ახლავს უნდა იზრუნოს ნაკრების წევრთა შერჩევაზე. ვინაიდან საკალათბურთო ბატალიები წლეულსაც ბლომადა მოსალოდნელი მწვრთნელმა უკვე დაასახლა ნაკრების წევრობის რამდენიმე აშკარა კანდიდატი. ესენ არიან: ს. ბელოვი, შარშანდელი, ივლიშვილი (ცსკა-დან), სალუმეტისი („კალევიდან“), პაულუსკასი („უალკისისიდან“), ა. ბელოვი („სპარტაკიდან“), სოკოლოვი, ავრამოვი, სილაკინი (მოსკოვის „დინამოდან“) და ქორქია (თბილისის „დინამოდან“).

ზღა, 8 დეკემბერს, მოსკოვში დიდი კალათბურთის დღეა. სსრ კავშირის ჩემპიონს ცსკა გამართავს თავის პირველ მატჩს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე. არმიელთა მეტოქე ბუდაპეშტის „იშველი“ იქნება.

მ. ზარგარაიანის ფოტო.

საქონი საქონი

● კიოლნი, 30 ნოემბერი. მსოფლიო რეკორდსმენმა სივრცეზე ხტომაში 3. როზენდალმა ამ ქალაქის დახურულ დარბაზში 50 მეტრზე თარჯბენში 6,5 წამი აჩვენა. ეს შედეგი ახალი მსოფლიო მდწევაა.

● ბელგრადი, 30 ნოემბერი. წყალბურთელთა შორის ვერტობის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ნახევარფინალში დაწინაურდა ადგილობრივი „პარტიზანი“, რომელმაც დაამარცხა „სტოკპოლიმი“ (შვეიცია) — 8:4. 11 ადგილზეა სოფლის „აკადემიკა“, რომელმაც მოუგო „ეჟინიკოსს“ (საბერძნეთი) — 5:3.

● ვილინი (ბულგარეთი), 30 ნოემბერი. აქ გაიმართა მოკრივეთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მასპინძლების ვარდა გამოდიოდნენ გდრ-ის, კუბის, რუმინეთის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და პოლონეთის სპორტსმენებიც. საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლებმა მოიპოვეს 4 პირველი, 8 მეორე და 1 მესამე ადგილი. ტურნირის ლაურეატები გახდნენ ხარკოველი ვ. სერდენჩი, მოსკოველი ა. ვოლკოვი, ომსკელი ე. გორსკოვი და ირკუტსკელი ლ. შაპოშნიკოვი.

● ლენინგრადი, 30 ნოემბერი. საბჭოთა მოცურავეების გამარჯვებით დამთავრდა აქ გამართული მეგობრული არმიების სპორტსმენთა ასპარეზობა. შეჯიბრებაში, რომელშიც გამოდიოდნენ ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, მასპინძლებმა მოიხვეჭეს 8 ოქროს, ანდენივე ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.

● ბარლინი, 30 ნოემბერი. გდრ-ის დელაქალაქში გამართულ მოციგურავეთა შეჯიბრებაში რ. შლიაიერმაპერმა 500 მეტრი 44,5 წამში გაიბრინა. ეს შედეგი გდრ-ის ახალი რეკორდია.

● ლივნი, 30 ნოემბერი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მოეწყო საერთაშორისო კრება (9,6 კმ) გაიმარჯვა ინგლისელმა ჟურნალისტმა ჯ. ელდერმა — 30.50,0. მეორე იყო ოლიმპიური ჩემპიონი 1500 მეტრზე რბენაში, კენიელი კ. კენი — 31.03,0.

● ტიმიშოვარა, 30 ნოემბერი. რუმინეთის ამ ქალაქში ჩატარდა ხელბურთულ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება „კარპატის თასზე“. გამარჯვებს გდრ-ის სპორტსმენებმა, რომლებმაც ფინალური შეხვედრა მოუგეს მასპინძლებს — 18:10. მესამე იყო უნგრეთის გუნდი. მოსკოვის „ლუჩის“ ხელბურთელები V ადგილს დასჯერდნენ.

● ბარლინი, 30 ნოემბერი. აქ გაიმართა ოცნორ ფიგურისტთა საერთაშორისო ასპარეზობა. წარმატებით გამოვიდნენ მასპინძლები — გდრ-ის წარმომადგენლები. წყვილთა სრილში გაიმარჯვეს რადუნსკი და ოსტერეიშმა — 205,90 ქულა. საბჭოთა წყვილი (ჩერნიავა, ბლაგოვი) მესამე იყო. ასევე მესამე ადგილი დაიკავა ერთეულთა გამოცდებში კუტსინსკიმ — 1218,20. აქ ყველას აჯობა ჰაიდმანმა (გდრ) — 1263 ქ.

● ბელგრადი, 30 ნოემბერი. მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირში მიწაწილეთსმენებმა საბჭოთა სპორტსმენი გავიდა ფინალში, სადაც სსრ კავშირის ჩემპიონმა სემიონოვმა (პირველი უმარტესი წონა) მოუგო ბულგარელ სავოუს, დლოგოვმა (პირველი ქვესაშუალო) — სტიჩევს (ბულგარეთი), რისკივმა (მეორე საშუალო) — ტოლოზგ. სარტიანმა მარცხი იწვნია იუგოსლავიელ ვუკუჩიჩთან შეხვედრაში.

● ბელსი, 30 ნოემბერი. მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა 6 ტური. ტურნირის ლიდერობს ა. კუშნირი, რომელსაც 5 ქულა აქვს. 4,5-4,5 ქულა დააგროვეს ნ. კონსოლიდომ და მ. სამულმა.

● პალმსბადი, 30 ნოემბერი. შვეიცის ამ ქალაქში დამთავრდა სკანდინავიის ღია ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ვაჟთა შორის გამარჯვდა ევროპის ჩემპიონმა მ. ალსერმა (შვეიცია). ქალებში უძლიერესი იყო კორეის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი ჩუნ მინ-ჩუი, რომელმაც ფინალში სძლია თანამემამულე ლი ხოი-ცინს — 17:21, 21:16, 21:18, 21:15. ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს კორეელმა სპორტსმენებმა (ჩუჟან ძე-დუნი, ლი ჩუი-კუანი), ქალთა წყვილებში — ლი ლიმ და ლი-ან ლი-ჩუნმა (კორეის სახალხო რესპუბლიკა).

საქონი საქონი

ეროვნულ საუნჯეს გაფრთხილება უნდა

ქართული ჯიდაობა პოპულარობით რომ სარგებლობს ჩვენს რესპუბლიკაში, საქვეყნოდ აღიარებული ფაქტია. ზედმეტი განმარტება არც იმას სჭირდება, რომ ჯიდაობის ამ სახეობას ჩვენში ბევრი გულშემოტკვიარი ჰყავს. ვიტყვი მხოლოდ ერთს — რესპუბლიკის მოქიდავეთა წარმატებანი საკავშირო და მსოფლიო სარბიელზე მნიშვნელოვანწილად სწორედ ჩვენმა ეროვნულმა საუნჯემ განაპირობა.

ბევრს ალბათ კარგად ახსოვს, რა სახეობის სანახაობა იქცეოდა ხოლმე ფალავანთა ტურნირები თბილისშიცაა წლებში. ასე იყო შერევი, დასაბოლოებდა 1956 წლამდე, მე ახლაც თვალწინ მიდგას თბილისის მოქიდავეთა ჩემპიონატი გარდაიქმნა „დიდი ყანწე“, რომელშიც წარმატებით გამოდიოდნენ უნივერსიტეტის, ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ტექნიკუმის, აგრეთვე „ნაუკას“, „ქრასნოე ზნაშისა“ და სხვა სპორტსაზოგადოებათა ფალავანები.

დევ ბევრს სარგებლობას მოიტანს. მეორე მიზეზად მიმაჩნია ის, რომ ჯიდაობის არ არსებობს ქართული ჯიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმში, ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას და მის ორგანიზაციულ საქმიანობას. ჩვენ კარგად ვიცით, რას ნიშნავს ფედერაცია თავისუფალ კლასიკურ ჯიდაობაში, სამბოში, რა სასარგებლო როლს ასრულებენ ამ ფედერაციითა ხელმძღვანელები. შექმნათ ქართული ჯიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმიც, ჩაებათ მის საქმიანობაში დაულაღვი, საქმის მოყვარული და პატრონი ენთუზიასტები და ენახავთ, რა ერთბაშად დაიძვრება საქმე-მკვლარი წერტილიდან.

მესამე მიზეზს იმაში ვხედავ, რომ ზოგჯერ შეჯიბრებების ჩატარებას და მთავარი მსაჯების როლს განლობთ უხერხემლო და ყოველდღიური ენთუზიასტები ადამიანებს. ხშირია ასეთი შემთხვევა: მონაწილე უმეფერი სიტყვებით ლანძღავს მსაჯებს, მზადაა ხელიც კი შემოჰკრას მათ, ეს უკანასკნელნი კი, რომლებიც არავითარი ავტორიტეტით არ სარგებლობენ არც მოქიდავეებში და არც მასპინძლებში, უძლიერი არიან — წინ აღუდგენ ხელისგებს ამიტომაც არის ხშირად საჭირო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუშაობა ჩარევა, რათა ბოლომდე მივიყვანოთ ესა თუ ის შეხვედრა, ბრძოლა, ასე გასწავლეთ ტურნირიც.

სულ ახლახან გორში ჩატარდა რესპუბლიკის გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჯიდაობაში. მონაწილეთა სიმრავლეზე ბევრს გერაფერს ვიტყვი. მაგრამ ტურნირმა ცხადყო, რომ ქართველ ჯიდაუნებს უკარს ჯიდაობა, გული ერჩის, ოღონდ თავის გამოჩენის შესაძლებლობა იყო.

ქიდაობა და I ადგილიც მოიპოვა. მეორე თუ მესამე დღეს მან ქართული საჭილაო ჩოხა ჩაიკცა, სარბიელზე გამოვიდა და მხარში ამოუდგა თანაგუნდელებს. თბილისის გუნდის წარმატებაში მან თავისი წვლილი უდავოდ შეიტანა, ვინაიდან ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო. იმ, ეს არის საქმის სიყვარული, ჯიდაობისადმი უანგარო პატრონიზმი.

სამწუხაროდ, ასეთი სულსიკეთება ყველგან როდი იგრძნობოდა. მეტად გეტყვი, კახეთის რაიონებშიდან, სადაც ჯიდაობას ყველაზე მეტი ტრფიალი ჰყავს, ჩემპიონატს მხოლოდ თუღავი გამოეხმაურა (მწვრთნელი შ. დალაქიშვილი), რომელსაც საკმაოდ მომზადებული ფალავანები აღმოაჩნდა (განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გ. წითელაურმა და ა. ელოშვილმა). პირველობისთვის შეუპოვრად იბრძოდნენ თბილისის, კასპის, გორის, თელავის, გორის რაიონის გუნდები. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა თბილისის კოლექტივმა, რომელმაც თანმიმდევრულად დაამარცხა თელავის, გორის, გორის რაიონის, სამხრეთ ოსეთისა და კასპის გუნდები. II ადგილზე გავიდნენ კასპის, III — გორის მოქიდავენი.

ბ. მაზიაშვილი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი — თბილისის გუნდი. დგანან (მარცხნიდან) — ა. ხინჯიაშვილი (გუნდის წარმომადგენელი), გ. გიორგაძე, გ. ქურასხედანი, ბ. შიშიაშვილი, ტ. წიკლაური, ა. მარგაველიანი, ბ. მაზიაშვილი (გუნდის უფროსი მწვრთნელი), პირველ რიგში — ს. ჭინორიძე, ნ. აბულაძე, ო. შაშვიაშვილი.





სპარტაკი

სპარტაკი აღიარებს მის მფლობელს

გამოიღნა ტურნირის „უხედავი“ უპოვოებში



სსრ კავშირში მიუძღვნის ზღვიანობის სამხადისი მებრძოლი დამარცხებისათვის დაიწყეს. საერთაშორისო სარბილზე შედეგების სწრაფი სპორტსმენთა ინტენსიური ვარჯიში, ხშირ ტურნირებს, ძალთა რეგულარულ შემოწმებას მოითხოვდა. საკავშირო სპორტლონისძიებათა კალენდარში ამიტომაც განჩნდა ისეთი შეჯიბრებები, რომლებიც ადრე არ ტარდებოდა. უკურადღებოდ არც შეტანადღებები დარჩენილან. მართალია, სპორტის ამ სახეობაში სსრ კავშირი არ ჩამორჩება, გვყავს როგორც ოლიმპიადის, ისე მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზოტორები, მაგრამ მოპოვებული წარმატებების განმტკიცებისთვის მეტი შრომა იყო საჭირო.

ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტში ჯალაქების, რესპუბლიკების, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მიერ წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგად მათგან იხსნებოდნენ მიზნად, როცა კალენდარში ჩემპიონთა ტურნირი შექმნიდათ. სასპარტაკო თბილისი ბირჩის. და აი, 26-29 ნოემბერს არმიულ მონაღირეთა საზოგადოების სტენდზე ქვეყნის 45 საუკეთესო ოსტატი ცდიდა ძალას. ცეცხლის ხაზზე პირადი და გუნდური პირველობის გასათამაშებლად მხოლოდ სსრ კავშირის, მოძვე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის, სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ჩემპიონები უნდა გამოესულიყვნენ.

თბილისის ბევრი გამოჩენილი მსროლელი ვწვია. მათ შორის იყვნენ მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზოტორები, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ზიმენო, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ვ. აღინოვი, რ. მოლიანსკი, კ. დარასელია, ე. სეჩინი...

საქართველოს გუნდის ღირსებას მხოლოდ სსრ კავშირის ჩემპიონი, სოხუმელი კ. დარასელია („განთიადი“) და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი, თბილისელი სპორტის ოსტატი ვ. ალავერდიოვი იცავდნენ. რესპუბლიკის ჩემპიონები — ხერეთშიორისო კლასის სპორტის ოსტატი ვ. შ. შაჩანელი („ლოკომოტივი“) და სპორტის ოსტატი ლ. სიმონიანი (თბილისის ასე) სარბილზე აღარ გამოსულან, ვინაიდან მწვერვლად დაიწყეს მუშაობა. სამაგიეროდ, უკონკრეტოდ სასპარტაკოდ დაუშვეს ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე კარგი მსროლელი.

ეს შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის ძალთა ერთგვარი, თანაც მეტად მკაცრი შემოწმებაც გახლდათ. სპარტაკიადის დროს გუნდებს ყველა ვარჯიში 2-2 სპორტსმენის გამოყვანის უფლება ექნებოდათ, აქ კი ვოლენტიზების ბედი ბიძათ სპორტსმენს ჰქონდა მინდობილი. ჩათვლა ოლიმპიური იყო: როგორც ადგილიდან, ისე მრავალ სტენდზე სროლაში 200 სამიხნეზე შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გუნდს 13-13 ქულას აძლევდნენ. მეთრე პრიზოტორები — 11-11, III ადგილზე გასულები — 10-10 ქულას. დუბლეტზე მსროლელები კი შედარებით ნაკლებს — 7, 5, 4, 3... ქულას იღებდნენ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას მოხალოვებში აჯობებს. II ადგილი სპარტაკიადის მესტენდურებმა დაიკავეს, III — რსფსრ-ის კოლექტივმა. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებებს

შორის საუკეთესო იყო სსრ კავშირის არმიულ მონაღირეთა საზოგადოების ნაკრები. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ რსფსრ-ის მონკავშირისა და „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს მსროლელები.

ჩვენი რესპუბლიკის გუნდს II ადგილი მხოლოდ დარასელიასა და ალავერდიოვის მონაღირებით ხვდა. მაგრამ შეიძლებოდა თუ არა გამარჯვება? შეიძლებოდა. ტ. ქვენტასა და თ. მატოიანს გუნდურ ტურნირში ასპარეზობის უფლება რომ ჰქონოდათ, ამაში დავრწმუნდებით, როცა პირადი შეჯიბრების შედეგებს გავეცნობით.

პირველ დღეს გაიმართა შეჯიბრება აცდენამდე სროლაში. ადგილიდან მსროლელთა შორის ბრწყინვალე შედეგი მოიპოვა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ი. გულევამ (არმიულ მონაღირეთა საზოგადოება), რომელმაც შეუცდომლად 90 სამიხნე გატეხა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ზიმენკომ (უკრაინა, არმიულ მონაღირეთა საზოგადოება) 32 ქულა დააგროვა, თუმცა II ადგილისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა. მესამე იყო ვ. ვლასოვი (რსფსრ, მონკავშირი) — 25 ქულა. საქართველოდან საუკეთესომ — ალავერდიოვი II ქულით VI ადგილი დაისაჯულა. დარასელიას (5 ქულა) აჯობა ახალგაზრდა ვ. შუკიამაც (8), ბრძოლიც უკონკრეტოდ ასპარეზობდა.

მაგრამ დარასელია მარცხმა ვერ დააბნია. მეორე დღეს 200 სამიხნეზე სროლაში (თლიმპიური ვარჯიში) მან კარგი შედეგი მოიპოვა (ამ ვარჯიშიში შეჯიბრება ორ დღეს გაგრძელდა). პირველ დღეს დარასელიამ 100-დან 96 ქულა მოაგროვა და მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებოდა ლიდერს — გულევს. მესამე შედეგი (95 ქულა) ჰქონდა ა. ქუკოვს (მოსკოვი, არმია).

საქართველოს პირველობამ ველოკროსში, რომელიც სოხუმის მახლობლად, ახალბარის მხარეთა ვეზე ჩატარდა, რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებს მოუყარა თავი. აქ იყვნენ თბილისის წარმომადგენლებიც (ორ გუნდად) და აფხაზეთის ველოსიპედისტებიც. აჭარის, სამხრეთ ისეთის, ქუთაისის, ზუგდიდისა და რუსთავის კრისმენები, რომლებსაც რთული, 25-კილომეტრიანი ტრასა უნდა გაეცლოთ.

თავბრუნდამხვევმა აღმართ-დადართებმა, ქობაბინმა მონაკვეთებმა რბოლა ერთიორად საინტერესო და მიმზიდველი გახდა. ველოსიპედისტთა წინაშე ერთობ რთული ამოცანა იდგა, რომლის შესრულებაც მაღალ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად საღ ტაქტიკურ აზროვნებასაც მოითხოვდა.

გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს თბილისის I გუნდის წარმომადგენლებმა (ბულბულეოვი, ქობალია, ქანთარია, სუჭაშვილი, კოსტეკი), რომლებიც ასპარეზობისთვის კარგად იყვნენ მომზადებული. II ადგილი ასევე დამსახურებულად დაიკავეს აფხაზეთის ნაკრებმა. წარმატებას მიაღწიეს რუსთავის ველოსიპედისტებმაც. მათი III ადგილი იმის ნიშნია, რომ ველოსპორტს ამ ქალაქში სერიოზულ ყურადღებას აქცევენ.

გაკიცხვის ღირსნი არიან აჭარის ველოსპორტის მესვეურნი, საქმე ისაა, რომ ამ აცტონობიურა ტეს-

მეორე დღეს დარასელია ბოლო სერიის წინ გულევს უკვე ქულას უვებდა, მაგრამ ბოლო სერიაში მასპინძელს ნერვებმა ულაღატა (ეს მერამდენედ!). მან 25-დან 20 სამიხნე გატეხა, გულევმა — 24. გამარჯვება, რა თქმა უნდა, გულევს დარჩა — 189 ქულა, II ადგილზეა დარასელია — 186 ქულა. ქუკოვს ამ დღეს ვეღარ იცნობდით. მან მხოლოდ 84 ქულა მოაგროვა, ჩამორჩა ვლასოვს (182) და ა. მუზონს (სომხეთი, „ამხატანქი“ — 180).

ერთდროულად აფრენილ წყვილ სამიხნეებზე სროლა ყველაზე რთული ვარჯიშია სპორტსმენმა აუცილებლად ორივე სამიხნე უნდა გატეხოს. ამ ვარჯიშის პირველივე სერიაში (10 წყვილი) დარასელია დაწინაურდა — 6 წყვილი სამიხნე დაამსხვრია. მას ქულით ჩამორჩებოდა ს. მირთნოვი (ტაჯიკეთი), ზიმენკოს 4 ქულა ჰქონდა, ალავერდიოვსა და ქუკოვს — 3-3. მეორე სერიაში სპორტსმენები 15-15 წყვილ სამიხნეს ესროდნენ. დარასელიამ ახლა ლიდერთა ხუთეულში ყველაზე ცუდი შედეგი (5 ქულა) მოიპოვა. ზიმენკომ ბალანს 8 ქულა მოუმატა, სხვებმა — 6-6, ასე რომ, 25-დან 12 ქულით დაწინაურდა ზიმენკო. დარასელიას და მირთნოვს 11-11 ქულა დაუგროვდათ, ალავერდიოვსა და ქუკოვს — 9-9.

სამოლოტი სიტყვა ვარჯიშთა გამეორებას (მეორე დღე) უნდა ეთქვას. დარასელია და ზიმენკო ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ და 15-15 წყვილი სამიხნე გატეხეს. პირველობა ზიმენკოს დარჩა — 27 ქულა. II ადგილზეა დარასელია — 26, III — ალავერდიოვი — 24 ქულა.

უკეთეს შედეგებს მიაღწიეს ჩვენი რესპუბლიკის მრგვალ სტენდზე მსროლელებმა. პირველ აცდენამდე სროლაში პირველობა ცდამ ერთბიოტოვული

ლიდერი ვერ გამოავლინა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიპლომანტმა, სპორტის ოსტატმა ტ. ქვენტამ და მოსკოველმა სპორტის ოსტატმა ა. ბარდინმა (ორივე ლოკომოტიველია) პირველი სერია უმეცდომოდ გააარეს, მეორე სერიაში კი მე-15 სამიხნეს ააცდინეს და ბრძოლაც შეწყვეტეს. ამრიგად, მათ 39-39 ქულა დაუგროვდათ. მესამე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი თ. მატოიანი („განთიადი“).

მაგრამ რჩებოდა კიდევ ერთი ცდაც, რომელზეც ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ფაქტურად, ბრძოლა თავიდან იწყებოდა და, თუ ვინმე ქვენტასა და ბარდინის შედეგს აჯობებდა (ამის უფლება ქვენტასა და ბარდინსაც ჰქონდათ), გამარჯვებაც მას დარჩებოდა. ლიდერებს ბედმა უმეტესად — ბარდინმა შესამე სამიხნეს ააცდინა, ქვენტამა — მეექვსეს. მეორე ცდით ოსტატმა ვ. სეროვმა (ყაზახეთი) 32 ქულა დააგროვა, ოსტატმა ვ. მარკოვმა (მოსკოვი) — 31.

ამრიგად, გამარჯვება ქვენტამ მოიპოვა, მაგრამ რადგან იგი უკონკრეტოდ გამოიღობდა, I ადგილი ბარდინს დარჩა.

ქვენტამ თავი ისახელა ტურნირის ბოლო დღესაც — ყველას აჯობა ერთდროულად აფრენილ წყვილ სამიხნეებზე სროლაშიც, თავდაპირველად ლიდერთად მატოიანი, რომელმაც 10-დან 9 წყვილი სამიხნე გატეხა. 7-7 ქულა ჰქონდათ ქვენტას, ი. ლეტენს (ბელორუსია), ვ. გორნოსტაეფსა (ყაზახეთი) და ი. სტოლიპინს (რსფსრ). მეორე ცდაზე, როცა სპორტსმენები 15-15 წყვილ სამიხნეს ესროდნენ, 22 ქულით დაწინაურდა ქვენტი. ლეტენს 20 ქულა დაუგროვდა, გორნოსტაეფს — 19, სხვებს — 18-18.

უკონკრეტოდ მოსპარეზეთ ფინალში

საქართველოს პირველობამ ველოკროსში...

რომელიც სოხუმის მახლობლად, ახალბარის მხარეთა ვეზე ჩატარდა, რესპუბლიკის უძლიერეს სპორტსმენებს მოუყარა თავი. აქ იყვნენ თბილისის წარმომადგენლებიც (ორ გუნდად) და აფხაზეთის ველოსიპედისტებიც. აჭარის, სამხრეთ ისეთის, ქუთაისის, ზუგდიდისა და რუსთავის კრისმენები, რომლებსაც რთული, 25-კილომეტრიანი ტრასა უნდა გაეცლოთ.

საღ იყვნენ ბათუმელები?

თუმელები ოსტატები? რატომ ვერ მოხედნენ ისინი აჭარის ნაკრების შემადგენლობაში, განა ცოტაა ბათუმში კვალიფიციური მწვერვლი და სპორტსმენი?

შეჯიბრება კარგად იყო ორგანიზებული, რაც სპორტის ადგილობრივ ხელმძღვანელთა და მთავარი მხარის, რესპუბლიკური კატეგორიის მხარის ვ. ფარცვანიას დამსახურებობა. ასპარეზობის მონაწილენი კმაყოფილებით შეხედნენ სამოლოტი შედეგებს და ტამით დააქილდოვეს ბოლო ჩათვლაში გამარჯვებულნი, პირველიც სკაოთ აღიარებით, მართლაც უძლიერესი იყო.

მისი გვარის ბულბულეოვი. თბილისის I გუნდის ლიდერმა რბოლა თავიდანვე აქტიურად დაიწყო. იგი პირველივე წრეზე (სულ იყო ათი

2,5-კილომეტრიანი წრე) დაწინაურდა და ლიდერობა ფინალამდე შელიდას არ გაუშვა — 1:22.56.

ასე რომ, მთავარი ბრძოლა II ადგილისთვის გაიმართა. აქ კი ორ ველოსიპედისტს აღმოაჩნდა ყველაზე მეტი შანსი — სოხუმელი ოსისკის და თბილისელი ქობალიას. დიდხანს წინ იყო ოსისკი, მაგრამ მე-7 წრეზე მას ქობალიამ გაუსწრო აი, სწორედ ამ კრიტიკულ მომენტში ახალგაზრდა სოხუმელმა მეტბრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა. მან მეძლო მეტოქის „დაეჭრა“ და ბოლოსწინა, მე-9 წრეზე კვლავ აღადგინა წინასწრობა. ოსისკი ფინისთან მეორე იყო (1:24,36), ქობალია — მესამე (1:24,48).

აღსანიშნავია, რომ ოსისკიმ ამ შეჯიბრებაში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ თბილისის, აფხაზეთისა და რუსთავის ველოსიპედისტთა კარგი მომზადება. სამწუხაროდ, დანარჩენი გუნდები ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პრიზოტორებმა მათ წინახვედრით, ზოგიერთებს კი ორი წრითაც გაუსწრეს.

შედეგ რესპუბლიკის ნაკრები. 5-7 დეკემბერს მისი წევრები ადღერში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში.

ბ. ნაღარაია.

გამოსვლის უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ როგორც გამოხატობის, შეჯიბრების ლიდერს ქვენტას ამის ნება დართეს. ლიდერმა იმედი გაამართლა: ბოლო 25 წყვილზე სროლაში 21 ქულა მოიპოვა, საბოლოოდ კი 43 ქულა (50-დან) დააგროვა, ლეტენსმა და კონინმა 38-38 ქულა. პირველობის ბედის გადასწყვეტად ლეტენსმა და კონინს შორის დაინიშნა დამატებითი ცდა, რომელიც კონინმა მოიგო.

შეჯიბრების შემდეგ სსრ კავშირის ნაკრების მწვერვლად ა. პონომარენკის ვითხოვეთ აზრი გამოეთქვა საქართველოს მესტენდურეთა შედეგებზე, სტენდის მუშაობაზე.

საქართველოს სპორტსმენთა სტაბილური შედეგები მასარებს. დარასელია, ქვენტი და მატოიანი სტენდის ნაკრების ღირსეული წევრები არიან. თუ ისინი გაისად, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადშიც ასევე გამოვლად და წარმატებით იასპარეზებენ, საერთო მათვალაში გუნდს საბარსო ადგილს დაისაჯუტობს. ისე კი, დარასელიასაც, ქვენტასაც და მატოიანსაც შესწევთ ძალა რომ სპარტაკიადში ოქროს მედლები თითო ვარჯიშში მიიხეც მოიპოვონ. ვისურვებდი მათს გვერდით სარბილზე ასევე წარმატებით გამოსული საქართველოს სხვა სპორტსმენებიც მენახოს. აი, მაშინ კი თქვენს გუნდს სპარტაკიადში მალე ი ადგილი განადლებული ექნება.

რაც შეეხება სტენდს, მექანნიმები უნაკლოდ მუშაობდნენ, კარგი ბაზაა, თანდაც კეთილმოწყობა სჭირდება. მასპინძელთა სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მხოლოდ ამინდზე გვწყუდება გული — ქარი რომ არა, შედეგები უფრო მაღალი იქნებოდა, ამის მაგალითად მრგვალ სტენდზე ოლიმპიური ვარჯიშის შედეგები გამოდგება. სპორტსმენებს 200-200 სამიხნე ეძლეოდათ. პირველ დღეს შესანიშნავი შედეგები იყო ნაჩვენები. მატოიანმა და კონინმა (ბელორუსია, „სპარტაკი“) 100-დან 98-98 სამიხნე გატეხეს. ვაიფაზიანი (სომხეთი, „ამხატანქი“), ლეტენი, კონინი მათთან 3-3 ქულას აგებდნენ, კიდევ 4 კაცს 94-94 ქულა ჰქონდათ. მაგრამ მეორე დღეს ქარმა შედეგები საგრძობლად დასცა, რამაც ყველაზე მეტად იყავი დააზარალა, მეორე 100 გასროლიდან მან მხოლოდ 84 ქულა მოაგროვა და საბოლოო ადგილებს მიდგა დარჩა. მატოიანის ბრძოლისუნარიანობა მოცუბეს, ბოლო 25 გასროლის წინ იგი კონინს 4 ქულით ჩამორჩებოდა. მაგრამ შემდეგ ქარსაც აღარ შეუშინდა, ბოლო სერიაში 24 ქულა დააგროვა (კონინმა — 19), საბოლოოდ 186 ქულა აჩვენა და კონკურსში მონაწილეთა დამატებაც გამარჯვების ღირსეული კანდიდატი რომ იყო. პირველობა 185 ქულით კონინს დარჩა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გამარჯვებულებსა და საუკეთესო მსახურთა გადამცემთა ფიზკულტურის საკავშირო კომიტეტის ფელონებს, სიგელები, დიპლომები.

ო. გულაშვილი.

ს უ რ ა თ ე ბ ე : მარცხნივ — მრგვალ სტენდზე ასპარეზობის მომენტზე; მარჯვნივ — ცეცხლის ხაზზეა თ. მატოიანი.

ავტორის ფოტო.





საქართველო გაიტანა უელიამ

სსრ კავშირის ქაბუჯ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი უფროსი მწვრთნელის ე. ლიადინის ხელმძღვანელობით საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ოჩაჩხირეში.

ამას წინათ - სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ნაკრების საკონტროლო შეხვედრა ადგილობრივ „დინამოსთან“. მიუხედავად უპირატესობისა, თამაში საინტერესო ბრძოლით აღინიშნა. მასპინძლებმა უკვე მე-10 წუთისთვის წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (ბურთები გაიტანეს დელბამ და აქსიონოვმა). შეხვედრის შემდეგ ნაკრების ცენტრალურმა ფორვარდმა შეღიამ შეძლო 1 საქართველო ბურთის გატანა და მატჩის დამთავრება დინამოელთა გამარჯვებით — 2:1.

აღსანიშნავია სოხუმის „დინამოს“ მოსამზადებელ ჯგუფში აღზრდილი 17 წლის ფორვარდის შეღიას საუკეთესო თამაში.

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშის მომენტი.
გ. იაშვილის ტექსტი და ფოტო.

როცა თამაში განახლდა

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 15 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 10 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. გელერი (სსრ კავშირი), გ. ულმანი (გდრ) — 10-10, მ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 9,5-9,5, ო. პანო (არგენტინა), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 9-9, ბ. ლარსენი (დანია), რ. ჰიუნბერი (გერ) — 8,5-8,5, დ. მინიჩი (იუგოსლავია) ლ. პორტიში (უნგრეთი) — 8-8 ქულა, პირველს — 1 გამოტოვებული, მეორეს — 1 გადადებული პარტია, ვ. სმისლოვი, ლ. პოლუგაევსკი (ორივე — სსრ კავშირი) — 8-8.

როგორც ადრე, გადადებული პარტიების დამთავრებამ, ახლაც სიცხადე შეიტანა სატურნირო ცხრილში. შეხვედრები ასე დამთავრდა:

გელერიმა პაუზებთან კარგად გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა. ულმანმაც შეძლო უპირატესობის რეალიზება უ. რუბინეტიანთან (არგენტინა) პარტიაში. მეკინგთან შეხვედრა მან ყაიმით დაასრულა.

1,5 ქულა მოაგროვა გლიგორიჩმაც. მან მოუგო მ. მატულოვიჩს (იუგოსლავია) და ყაიმზე შეუთანხმდა ლარსენს. ლარსენმა მეორე გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა (სმისლოვთან ნნ-ე სვლაზე). სმისლოვი დაუხვდა პორტიშს. ამ დღეს პორტიშმა კიდევ ერთი პარტიის დამთავრება მოასწრო: ყაიმზე შეუთანხმდა პიუნბერს.

პანომ სძლია ს. ნარანიას (ფილიპინები), ყაიმზე შეუთანხმდა ს. რეშვესკისა (აშშ) და მატულოვიჩს.

მსაჯთა კალეგამ, იმის მაგიერ, რომ XIV ტურიდან მინიჩ-ფიშერის გამოტოვებული პარტია დაეინიშნა, მინიჩი ტ. სათლუს შეასვედრა გადადებული პარტიის დასამთავრებლად. გაიმარჯვა მინიჩმა.

ჩვენს მიხედვით

მეცნიერების კანდიდატთა გუნდი

ბროწონო. ჩრდილოეთ კავკასიის ნავთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველთანრიგის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, რომელსაც უდიდეს მფლობელ მითაოვა „ტრუდის“ რესპუბლიკური სპორტკლუბის ჩემპიონობა, დაკომპლექტებულია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატებით. ამასთან, სპორტსმენებმა სამეცნიერო ხარისხები გუნდის შემადგენელ დაიცვეს.

— სპორტი დიდ დამხმარებას გვიწევს მეცნიერულ მუშაობაში, — გვარწმუნებს გუნდის კაპიტანი ნ. დეგტაროვი.



სხვათა შორის, კაპიტანი მეცნიერულ მუშაობაშიც სამავალითაა. პირველმა სწორედ მან დაიწვა დისერტაცია.

სპორტში დეგტაროვი დიდი ხანია მეცადინეობს. ინსტიტუტში სწორედ მისი თაოსნობით შეიქმნა ფრენბურთელთა გუნდი, რომელიც დიდ წარმატებით გამოდის სარბიულზე, ადვილი მოსალოდნელია, რომ მეცნიერების კანდიდატები სპორტის ოსტატობის კანდიდატებიც გახდნენ.

ბორჯის მინის ქარხანაში (გორკის ოლქი) ათვისებულა ახალი საშენებლო მასალის — მიწაპროფილიტის წარმოება. იგი მზადდება მაგარი თერმომდგრადი მინისგან. ახალი მასალა მტკიცე და გამძლეა. მისგან დამზადებული ელემენტები უაღრესად მოხერხებულია დიდი სინათლეგამტარი კედლებისთვის.

ს უ რ ა თ ზ ე: გორკის საცურაო აუზი „დედფინი“, რომლის კედელიც მინაპროფილიტისგანაა დამზადებული.

ვ. ვოიტენკოს ფოტო (საქდესი).



მეცნიერებათა ახალი მწვრთნელი

დეკემბრიდან მუშაობას შეუდგა მექსიკის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი დე ლა ტორე. აქამდე იგი კლუბ „ბეა-ლა-ლაზარას“ ხელმძღვანელი იყო.

მექსიკელთა ადრინდელ მწვრთნელს რ. კარდენასს გადადგომა მოუხდა, ვინაიდან „საეციალისტთა“ აზრით მან ვერ გაართვა თავი დავის რეგულაციებს.

კისრებულ მოვალეობას, მექსიკელებს მიანიჭათ, რომ მათ გაცილებით უკეთესად უნდა ეთამაშათ მსოფლიო ჩემპიონატში.

ყველას გლიგორიჩმა აჯობა

მალიორკა პატარა კუნძულია, მაგრამ პალმა თანამედროვე, ნახევარმილიონიანი, ხმაურიანი ქალაქია. ამ ქალაქში 1300 სასტუმროა, სადაც ყოველწლიურად 200 ათასი ტურისტი იხვეწება.

ეს ამბები საზონათშორისო ტურნირის ბევრმა მონაწილემ არ იცოდა და ისინი ქალაქის ცენტრში, კომფორტაბელურ სასტუმროებში დაბინავდნენ. მხოლოდ გლიგორიჩმა აირჩია მყუდრო სასტუმრო გარეუბანში (7 კმ-ის დაშორებით).

ახლა, როცა თითქმის ყველა უკმაყოფილებას გამოთქვამს ხმაურის გამო, იუგოსლავიელი დიდოსტატი ილიმება და ამბობს: ბალღივით უმთოვრელად მძინავსო.

ქება გაამართლა

რიზა, 30 ნოემბერი. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის სამ ტურში მიღებულ შთაბეჭდილებებზე დიდოსტატმა მ. ტალმა თქვა:

— ამ ტურნირის თავისებურება ისაა, რომ მოჭადრაკე ასაკით ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თუმცა შეჯიბრების უხუცესი მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიკე-ბასი სამოცი წლისაა, ეს ტურნირი მანაც ყველაზე „ასალგაზრდულა“ საშუალო ასაკით. 31 დამთავრებული პარტიიდან 17 შედეგანია — ეს ამ რანგის ტურნირისთვის საკმაოდ დიდი პროცენტია. ყველა მარჯვედ თამაშობს, ბევრია საინტერესო სიტუაცია, თუმცა შეცდომებიც საკმაოა.

ძალიან კარგად დაიწყო ტურნირი კორჩნოიმ — გამარჯვების ერთ-ერთმა სერიოზულმა პრეტენდენტმა. იგი დიდი მონდობებით თამაშობს. იცოდნენ ოსტატებმა, რომ „ქულგბასა“ და „ნახევარქულგბას“ კორჩნოი და სხვა დიდოსტატებმა არავის „აჩუქებენ“.

კარგად აიღო სტარტი სოლმოვმა, ამ თავისებურება, ყველა მოჭადრაკეთვის სახიფათო მეტოქემ. იგი კარგად იცავს თავს, მსუბუქად თამაშობს და არ იცის, რა არის ცაიტნოტი. პირველ ტურში მან საინტერესო, ასე ვიტყვოდი, „მხიარულ“ პარტიაში დაამარცხა სავონი.

როგორც ყოველთვის, მოკრძალებით დაიწყო ტურნირი შტეინმა. ცნობილია, რომ იგი ტემპს შუა ტურნირში

და შეჯიბრების მეორე ნახევარში უმატებს.

შესანიშნავად თამაშობს ტუკმაკოვი. მან საინტერესო პარტია მოუგო ცე-იტლინს, ლიბერონს კი სტრატეგიულ მანევრირებაში აჯობა. გავგანარა ბა-გროვმა, რომელმაც შეძლო ორი ქნდ-შპილის (პლატონოვთან და დემენტე-ვთან) მოგება, ხოლო მესამეში (ავერ-ბასთან) ძნელ ბრძოლაში ყაიმს მი-აღწია.

დიდი ინტერესით ვაღწევთ თვალს ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ანატოლი კარპოვის თამაშს. ტოლია რაციონალურად და საიმედოდ იბრძვის.

რიზა, 1 დეკემბერი. IV ტური

რიზა, 1 დეკემბერი. IV ტური, რომელიც გუშინ შედგა, ტუკმაკოვმა გაამართლა ტალის შექება. მან სძლია თვით კორჩნოის და ლიდერობაც დაათმო-ბინა. ჩინებულად თამაშა მოსკოვის ჩემპიონმა ბალაშოვმაც, რომელმაც ხოლმოვი დაამარცხა. ბაგროვმა ყაიმით დაამთავრა გიპსლოსთან შეხვედრა.

ამრიგად, 4 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: ვ. ტუკმაკოვი (ოცნა) — 8,5 ქულა, ვ. კორჩნოი (ლენინგრადი) და ვ. ბაგროვი (ბაქო) — 8-8. ი. ბალაშოვი (მოსკოვი) 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილება

მსოფლიოს X საფეხბურთო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს (გათამაშების ფინალი, როგორც ცნობილია, მიეწყობა 1974 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში) ამას წინათ სხდომა ჰქონდა ბრიუსელში.

გადაწყდა, 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატი იმავ სისტემით ჩატარდეს, როგორც ეს წლებულს იყო მექსიკაში.

გილეთავი... 1978 წლისთვის

არგენტინაში დაიწყო მზადება მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც 1978 წელს უნდა გაიმართოს. უკვე იყიდება ბილეთები. უახლოეს ხანებში დაიწყება 100-ათასიანი სტადიონის მშენებლობა. მსოფლიო ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ეს სტადიონი მზად იქნება 1975 წელს. სტადიონი ჯერ არ არსებობს, მაგრამ მისი აბოვებენ-ტები უკვე იყიდება.

ერთი სატყვიო, არგენტინელი აქედანვე შეუდგნენ მზადებას.

პალმა დე მალიორკის ტალღაზე

მომხადებელი რომ ყოფილიყო?

მილან მატულოვიჩი ფიშერთან შეხვედრის წინ ძალიან ღელავდა.

— დრო არ მქონდა, რომ ტურნირისთვის წესიერად მოემზადებულყავი, — ამბობდა იგი. — ბევრს ვეცადე იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაციისთვის დამეტიკებინა, რომ მალიორკაზე მწვრთნელად უურნალისტი დიმიტრი ბელიცა მჭირდებოდა, მაგრამ არ დამიჯერეს და სეკუნდანტად ოსტატი ბრადვარევიჩი გამომაყოფნა. ადრე მასზე არაფერი მსმენია და არა მგონია, ჩემი საყვარელი ბენონის დაცვა იყო დეს.


აღლევების მიუხედავად, მატულოვიჩმა კარგად დაიწყო თამაში, მოგების შანსიც ჰქონდა. მაგრამ ბოლოს პარტია ყაიმით დამთავრა.

ფიშერიც იტანს

ტურნირის ორგანიზატორებს მაინც-ღამაინც დიდი იმედი არ ჰქონდათ, რომ მოჭადრაკეთა შეჯიბრება ბევრ ტურისტს მიიზიდავდა. მართლაც, დარბაზი თითქმის ცარიელია. სამაგიეროდ, საესტრადო მუსიკის ფესტივალს „მალიორკა — 70“-ს დიდალი მყურებელი ჰყავს.

მოჭადრაკეთა საწყენად, მუსიკალური ფესტივალი იმავე ვენობაში მიმდინარეობს, რომელშიც ტურნირი ტარდება. ფიშერი, რომელიც ძალზე გატაცებულია საესტრადო მუსიკითა და სიმღერებით, დიდი გაჭირვებით იტანს ასეთ მუშაობას. ამერიკელი მოჭადრაკის მოთხოვნათა პირველი მუხლია დარბაზში სიწყინარის დაცვა.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარაკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეკემბრისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე — 98-97-61, პასუხისმგებელი მდივანი — 98-97-62, მასობრივ-ფიქტურულ-ტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 98-97-55, სპორტული განყოფილება — 98-56-47, 98-97-58, ფეხბურთის განყოფილება — 98-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 98-97-67, წერაობის განყოფილება — 98-97-64, მემკვიდრეთა ბიურო — 98-97-59, ფოტოლაბორატორია — 98-97-58, გამოშვების — 98-98-81, კორექტორები — 98-97-49.